



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92. 922306615

თარიღი:07/03/2023

"საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი მდ.ლაგოდეხის ხევზე დატბორვის საწინააღმდეგო ღონისძიებების - სამშენებლო პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილი შესაძლო დავების, პრეტენზიებისა და საჩივრების სწრაფად განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 იანვრის Nბ92.92220316 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება "საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი მდ.ლაგოდეხის ხევზე დატბორვის საწინააღმდეგო ღონისძიებების - სამშენებლო პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილი შესაძლო დავების, პრეტენზიებისა და საჩივრების სწრაფად განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 იანვრის Nბ92.92220316 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 1. შეიქმნას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, სამშენებლო პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილი შესაძლო დავების, პრეტენზიებისა და საჩივრების სწრაფად განმხილველი კომისია შემდეგი შემადგენლობით;

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ჩალათაშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის,“ უფროსი;

კომისიის წევრები: -ივანე მანაგაძე- ქ.ლაგოდეხის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი;

-იოსებ მერებაშვილი-ა(ა)ი პირი „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრის“ სპეციალისტი „ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი“.

-იზა შუბითიძე-ქალთა პიროვნული განვითარების ცენტრის"ლეველ აფ"-ის დამფუძნებელი;

-გიორგი სულამანიძე-დაცული ტერიტორიების სააგენტო-ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი;

კომისიის მდივანი:

თამარი წიქარიშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფის

განყოფილების" III რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი "სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში".

მუხლი 2. ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელად.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

